საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/14 " 7 " თებერვალი 2023 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გ. ლობჟანიძის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, გიორგი ლობჟანიძე 2023 წლის 15 მარტიდან გამწესდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

გიორგი ლობჟანიძის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2022 წლის 25 ნოემბრის №1/130 განკარგულებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2022 წლის 28 ნოემბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 4 კანდიდატი.

2022 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 9 იანვრამდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის გიორგი ლობჟანიძეზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[2] მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 9 იანვარს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

გიორგი ლობჟანიძეს აქვს სპეციალობით მუშაობის 22-წლიანი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება. იგი 2006 წლიდან არის საერთო სასამართლოების მოსამართლე. გიორგი ლობჟანიძე სხვადასხვა დროს იყო ჯავის, მცხეთის (დუშეთის მაგისტრატი) სასამართლოების მოსამართლე. ამჟამად არის ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ასპინძის მუნიციპალიტეტში.

მოსამართლედ მუშაობის პერიოდში მის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა, არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური სახდელი ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ გიორგი ლობჟანიძეს გაესაუბრნენ 25 იანვარს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2023 წლის 27 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10-მა წევრმა კანდიდატი გიორგი ლობჟანიძე შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

გიორგი ლობჟანიძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა ათივე წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ გიორგი ლობჟანიძის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 842 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 84,2%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2023 წლის 7 თებერვალს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 10-მა წევრმა მიიღო, გიორგი ლობჟანიძემ მოიპოვა 10 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე კენჭისყრის ბიულეტენში შეყვანილ იქნა 3 კანდიდატი, მათგან 1 ყოფილი მოსამართლე, 1 მოქმედი მოსამართლე და 1 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ლობჟანიძე გიორგი - 10 ხმა
2. მელაძე ნინო - 0 ხმა
3. ოთარაშვილი ლია - 0 ხმა

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - გიორგი ლობჟანიძის კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის (წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის, პროფესიული თვისებების) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა 2 კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესდა გიორგი ლობჟანიძე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი